F75 N 2724

მეცნიერება — ხალხის სამსახურში!

გუშინ მუშაობას შეუდგა მეცნიერთა თბილისის დიდი ფორუმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 272 (12186) | პარასკევი, 1 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. გ. მამედალიევი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული

საიუბილეო სესიის მონაწილეებს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სესიის მონაწილეებს.

საიუბილეო სესია მუშაობას იწყებს იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, აღფრთოვანებულნი სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თავდადებულად შრომობენ, რათა განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამა.

კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიალური ანდერძის განუხრელმა განხორციელებამ შექმნეს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი აყვავების უმაგალითო პირობები. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ვრცელმა ქსელმა უზრუნველყო მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მომზადება. გაიზარდნენ და დავაყენეს პედაგოგების, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი კადრები. საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგები. ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიიის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკის პრობლემებზე. ბევრი ძვირფასი რამ შეიქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

სულ უფრო აქტიური როლი ენიჭება მეცნიერებას ჩვენს დღეებში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით სახავენ თეორიულ გამოკვლევათა შემდგომი განვითარების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაძლიერების, ახალი საზოგადოების ადამიანთა აღზრდის ამოცანას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გისურვებენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ შემოქმედებითს გამარჯვებებს საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ძმობას, თანასწორობასა და ბედნიერებას!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

მრავალეროვნული საბჭოთა მეცნიერების აყვავება

ოთხი აკადემიის საიუბილეო სესია თბილისში

მეცნიერების განვითარების მთავარ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან, განიხილავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომელიც გაიხსნა 30 ნოემბერს თბილისში. სესია მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან ჩამოვიდნენ თბილისში წამყვანი მეცნიერები, რათა განიხილონ აქ იმ დიდი გზის შედეგები, რომელიც განვლო ქართულმა მეცნიერებამ, და ერთობლივად განსაზღვრონ მეცნიერების ადგილი კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

საზეიმოდ მორთულია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი. აქ წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის მეცნიერული აზრის მშვენება. დარბაზში არიან მოსკოვის, ლენინგრადის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ შორის არიან ბევრი სპეციალობის ადამიანები, რომლებიც კვლევას ეწევიან მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ყველას მათ აერთიანებს ერთი მისწრაფება — ემსახურონ ხალხს, სამშობლოს, მშვიდობისა და პროგრესის დიად საქმეს.

პრეზიდიუმში არიან ვ. პ. მეჟვანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვახოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, შ. ი. ჭანუყვაძე. აქვე იკავებენ ადგილებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. გ. მამედალიევი, აკადემიკოსები ი. ი. არტობოლევსკი, ა. ი. ბერგი, ი. ს. ბერიტაშვილი, ვ. ვ. ვინოგრადოვი, ს. ი. ვოლფკოვიჩი, ს. ა. ლებედევი, ა. ი. ოპარინი, ლ. ი. სედოვი, ნ. მ. სისაკიანი, ვ. ა. ენგელგარდტი, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სხვა მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას გახსნელად აცხადებს. შეკრებილთა და რესპუბლიკის მთელი მეცნიერული საზოგადოებრიობის სახელით იგი გულთბილად მიესალმება ძვირფას სტუმრებს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. დ. გ. სტურუას. იგი აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ოთხი აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მონაწილეებისადმი.

შეკრებილნი მხურვალე ტაშით ხვდებიან მისალმებას.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ნება მიბოძეთ, — ამბობს იგი, — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით გულითადად მოგესალმოთ და მხურვალედ მოგიგოლოთ თქვენ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვანი 40 წლისთავი.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, მისი თანამიმდევრული განხორციელების შედეგია.

ისტორიულად მოკლე ვადაში საქართველო გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრავალდარგიანი მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის დამაჯერებელი დადასტურებაა, — თქვა შემდეგ მ. ვ. კელდიშმა, — ის, რომ საქართველოში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრად იქცა.

საქართველოს ბევრი მეცნიერი და პირველ რიგში ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, ხელს უწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას თავიანთი უშუალო მონაწილეობით მის მუშაობაში.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დიად პერსპექტივებს, ხაზგასმით აღნიშნავს მ. ვ. კელდიში, უსახავს ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. ჩვენ რწმენას გამოვთქვამთ, რომ საბჭოთა საქართველოს მეცნიერები, ყველა საბჭოთა მეცნიერთან ერთად მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას, მთელ თავიანთ ნიუს მოახმარენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრას.

ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ ქართველ ხალხსა და საქართველოს მეცნიერებს ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით მისასალმებელი ადრესი გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

ჩვენ ეროვნული, ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა და აყვავების ერა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დაუღალავი ზრუნვის მეოხებით რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია მეცნიერების განვითარების უაღრესად ხელსაყრელი პირობები, რომლებმაც მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვიეს.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ის, რომ 1941 წლის თებერვალში შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკადემიის ხუთი განყოფილება აერთიანებს 45 სამეცნიერო-საკლავ დაწესებულებას. აკადემიის შემადგენლობაში 60 ნამდვილი წევრი და 34 წევრ-კორესპონდენტია. აკადემიის მეცნიერთა კოლექტივის რიგებშია ორი ათასზე მეტი კაცი. სულ საქართველოში ახლა 170-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლებშიც შრომობს 9000-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

თავისი არსებობის 20 წლის განმავლობაში, განაგრძო აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ შეასრულა ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა მეცნიერების ბევრ დარგში. მისი შედეგები დიდად უწყობენ ხელს რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა და გაიზარდა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელიც ახლა მათემატიკისა და თეორიული მექანიკის მთელ რიგ დარგებში ერთ-ერთი წამყვანი სკოლაა საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკაში წარმოებს ენერგიული მუშაობა თანამედროვე გამოთვლითი მათემატიკის დარგში. წარმატებით ვითარდება თანამედროვე ფიზიკის ძირითადი და-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲛᲝᲒᲖᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲘᲕᲘᲣ

აკადემიკოსი მ. კელდიში,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

— საქართველოში, კერძოდ თბილისში,— სთქვა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, — უნდა მოგახსენოთ, რომ პირველად როდი ვარ. მაგრამ თქმა იმისა, რომ ვიცნობ საქართველოს ან თბილისს, არ შეშინდება. წარმოიდგინეთ, ახლაც არ მაქვს ამისათვის საკმაო დრო, ვფიქრობ სამიოდე დღით აქ დარჩენას და, თუ საქმეებს დრო გამოვიტაცე, მინდა გავეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, საქართველოს უძველეს დედაქალაქს მცხეთას და იქნებ სხვა ადგილებსაც...

მაგრამ ყოველივე ეს ჩემი პირადი სურვილებია, — განაგრძობდა იგი, — რაც თქვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, ნაკლებად აინტერესებთ და ამიტომ მოგახსენებთ ჩემ შესადღეგებს ჩვენი სესიის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ ყველანი ვიცნობთ პარტიის ისტორიული XXII ყრილობის დიად გადაწყვეტილებებს, ვიცნობთ ამ ყრილობაზე ერთხმად მიღებულ პარტიის ახალ პროგრამას, რომელსაც ხალხმა თანამედროვე კომუნისტური მანიფესტი უწოდა.

საბჭოთა მეცნიერებს უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიზანდასახული განვითარებისათვის, პარტიის ახალი პროგრამის შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შრომითს ლაშქრობაში. ჩვენი ვალია ფართოდ და ყველა მიმართულებით გავშალოთ მეცნიერული მუშაობა, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესის განვითარება და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა მჭიდროდ დავაკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

არ მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ საბჭოთა მეცნიერების მუშაობა მოიკოჭლებს, ეს სწორი არ იქნებოდა. მაგრამ მინდა გამოვთქვა ისიც სურვილი, რომ მეცნიერული მუშაობის კავშირი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პრაქტიკასთან უფრო მჭიდრო იყოს. გასულ წლებში საბჭოთა მეცნიერების მუშაობა მკვეთრი აღმავლობის გზით ვითარდებოდა და საბჭოთა მეცნიერებამ წამყვანი პოზიციები დაიკავა მსოფლიო სამეცნიერო შემოქმედებითი აზრის მრავალი მიმართულებით.

მინდა აქვე აღვნიშნო საქართველოს მეცნიერთა მნიშვნელოვანი წვლილი საერთო წარმატების ამ დიდ საქმეში, განსაკუთრებით მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკოლოგიის დარგებში. იგივე უნდა ვთქვა საქართველოს ფიზიკოსების მუშაობაზე, რომლებმაც ბევრი ახალი სიტყვა გვითხრეს კოსმოსური სხივების ფიზიკისა და მყარი სხეულების ფიზიკის შესახებ. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო საქართველოს ფიზიოლოგების ის წვლილი, რომელიც მათ შეიტანეს მეცნიერების ისეთი დარგის გასამდიდრებლად, როგორიცაა უმაღლესი ნერვული სისტემის შესწავლის დარგი. დიდი მიღწევები აქვთ საქართველოს ბიოლოგებს და ქიმიკოსებს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ბუნებრივი რეაურსების გამოყენებისა და კომუნიზმის მშენებლობის სამსახურში ჩაყენებისათვის. საქვეყნოდ ცნობილია ქართველი მეცნიერების შრომები სამთო საქმეში, მეტალურგიაში, ენერგეტიკაში, საერთო ტექნიკურ მეცნიერებათა მრავალ დარგში, ისევე როგორც ისტორიაში, არქეოლოგიაში, ენათმეცნიერებაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში.

უფუმამნოდ უნდა ითქვას, რომ ქართველმა მეცნიერებმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერების დიდ შემოქმედების საბრძოლოში. ამიტომაც აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სესიის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა არა მარტო იმ მხრივ, რომ აქ განხილული იქნება ჩვენს დღევანდელობასთან დაკავშირებული ბევრი აქტუალური სამეცნიერო პრობლემა, არამედ იმითაც, რომ ამ სესიის მუშაობას გარკვეული, თუმცა არა პირდაპირი მნიშვნელობა ექნება საკავშირო მასშტაბით მეცნიერული მუშაობის კოორდინაციის თვალსაზრისითაც.

აი, თითქოს ყოველივე ის, — სთქვა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, — რაც მინდოდა მეთქვა ამ საუბარში. ნება მომეცით გაზეთ „კომუნისტის“ მრავალთასიანი მკითხველების წინაშე სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საბჭოთა მეცნიერები ხელიდან არ გავუშვებთ იმ დიად დროშას, რომელიც ჩაგვბარა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, მტკიცედ შევინარჩუნებთ საკაცობრიო მეცნიერების მოწინავე პოზიციებს, არ დავიშურებთ ძალას, ენერგიას და ცოდნას, რათა ყველა შესაძლებელი დახმარება გავუწიოთ კომუნიზმის მშენებელ ჩვენს ხალხს პარტიის XXII ისტორიული ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

აკადემიკოსი

ვ. ამბარცუმიანი,

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

დიდი სიხარულით ჩამოვედი საქართველოში, ოთხი აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სესიაში მონაწილეობის მისაღებად. არა მარტო ჩემთვის, არამედ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მთელი ჟგუფისათვის მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნება ურთიერთ შეხვედრები და მეცნიერული კონტაქტები. ჩვენ საშუალება გვექნება უკეთ გავეცნოთ ქართველი მეცნიერების შესანიშნავ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტი მუშაობს ანალოგიურ პრობლემებზე, რომლითაც დაინტერესებულია ქართველი მეცნიერები და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერების განვითარებისათვის.

საქართველოში ტარდება მეტად ნაყოფიერი და საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები. ქართველ მეცნიერთა შრომები საქვეყნოდ ცნობილია. ჩვენ, სომეხი მეცნიერები ვუსურვებთ ძვირფას ძმებს, ქართველ მეცნიერებს შემდგომ წარმატებებს სახელოვანი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი

ი. მამედალიევი,

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოში ხშირად ვყოფილვარ, ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იგი ამიერკავკასიის თვალმარგალიტია. თქვენი ხალხი ნიჭიერი და შრომისმოყვარე, გულღია და სტუმართმოყვარეა. ჩვენ, აზერბაიჯანელებს ყოველთვის გვახარებს თქვენი მიღწევები. ჩვენი რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს და მათში შემავალ ინსტიტუტებს ბევრი საერთო აკავშირებს. ახლა ჩვენ ყველანი, აგრეთვე სომხეთის ენერგეტიკოსები ვმუშაობთ ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნაზე, რასაც დიდი საერთო სახალხო მნიშვნელობა აქვს.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის 20 წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებს ოთხი აკადემიის გაერთიანებულ საიუბილეო სესიაში. ჩვენი ქიმიკოსები გამოვლენ საინტერესო მოხსენებებით. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში „დიდი ქიმიის“ შექმნას. უახლოესი კონტაქტი გვაქვს დამყარებული ქართველ ბიოლოგებთან. ჩვენი აკადემიის წარმომადგენლები, გარდა ამისა, რომ მონაწილეობას მიიღებენ სესიის მუშაობაში, გაეცნობიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მუშაობას, დაამყარებენ პირად კონტაქტებს ქართველ მეცნიერებთან. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ წინსვლას.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ს. ახვლედიანი, აკადემიკოსები ა. ი. ოპარინი და ვ. ვ. ვინოგრადოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1961 წლის 26 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1961 წ. 24 ნოემბერი.

სოფლის მეურნეოგის მუშაკთა თათბირი

ხაბაროვსკი, 30 ნოემბერი. (საკადესი). აქ გაიხსნა შორეული აღმოსავლეთისა და იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეების, ამურის, კამჩატკის, მაგადანის, სახალინის ოლქებისა და იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკის 800-ზე მეტი სოფლის მეურნეობის მოწინავე, მეცნიერი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკი.

თათბირი განიხილავს შორეულ აღმოსავლეთში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხს.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ვორონოვმა.

მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ს. პოლიანსკიმ.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. გ. მამედალიევი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტია და ხალხი ერთიანია

პარტიული აქტივის კრებებზე

მრთი თვე გავიდა სკკპ XXII ყრილობის დამთავრების დღიდან, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა კვლავ ჩვენ, პარტიის, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებს აღავსებს სიამაყით თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც მთელ თავის ღონისძიებებს ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებას ახმარს.

პარტიული აქტივის კრებებზე, რომლებიც ახლა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა, მშრომელები უდიდესი ყურადღებით და აღფრთოვანებით განიხილავენ სკკპ XXII ყრილობის შედეგებს. უკანასკნელ დღეებში მოეწყო ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ფოთის, სამტრედიის, გორის, ახალციხის, თელავის, მახარაძის, ტყიბულის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებები. ამ კრებების მონაწილენი, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელნი, მთლიანად და სავსებით იწონებენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსსა და პრაქტიკულ საქმიანობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და მასალები აღფრთოვანებენ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს გმირული ბრძოლისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს — ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ეს სიტყვები სკკპ პროგრამაში.

კომუნიზმის აშენება მთელი ხალხის ხელის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. ეს კარგად ესმით პარტიული აქტივის კრებების მონაწილეებს, რომლებიც სავსებით სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ პარტიულმა ორგანიზაციებმა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, იდეოლოგიური მუშაობის დარგში.

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმ დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც ქალაქში სუფევდა და სუფევს ყრილობისწინა და ყრილობისშემდგომ დღეებში. ამან საშუალება მისცა ქალაქის მრეწველობის მუშაკებს 103 პროცენტით შეესრულებინათ ათი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოეშვათ ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია. ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში გაუმჯობესდა ეკონომიური მაჩვენებლები, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი.

რუსთავის მეტალურგებმა წელს ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფოლადის წარმოება გაზარდეს 8,4 პროცენტით, თუჯისა — 0,7, ნაგლინისა — 13,7 პროცენტით. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე აქ აშენდა 80 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. რუსთაველ მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები, მექანიზატორები, მშენებლები ფართო, ნაყოფიერ შრომას ეწევიან საწარმოო პროცესების სრული ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დასანერგავად.

მოწინავეთა რიგებში არიან ჭიათურელი მადაროელები, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოსაგეებს ეჯიბრებიან. მათ ვადამდე შეასრულეს სასაჭონლო მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის დავალება და დეკემბრის ანგარიშში გამოიღეს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ახალ-ახალი მიღწევებით ახარებენ სამშობლოს სამტრედიის, გორის, ახალციხის, თელავის, მახარაძის, ტყიბულის, აგრეთვე რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონის შრომელები.

აშავე დროს აქტივის კრებების მონაწილეთა გამოსვლებში მხილებულია სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მთელი რიგი საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ქალაქის 12 საწარმომ ვერ შეასრულა ათი თვის გეგმა. მთელი რიგი საწარმოები ვერ ართმევენ თავს დავალებებს ასორტიმენტის და შრომის ნაყოფიერების ამაღლების დარგში.

ლაპარაკობდნენ რა იმ თავალსაჩინო წარმატებებზე, რომლებიც წელს მოიპოვეს თელაველმა მშრომელებმა, პარტიის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილენი ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ აქ ყველა რეზერვი ჯერ კიდევ სრულად არ არის ამოქმედებული. წელს თელავის რაიონმა ხორბლის დაბალი მოსავალი მიიღო. სუსტია მეცხოველეობის საკვები ბაზა, წელსვე ქვეყნისა კომუნიზმის პრაქტიკულად აშენების შესახებ და მიიღო დიდებული პროგრამა. ყრილობამ დაგმო მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის და სხვა ფრაქციონერთა ძირგამომთხრელი მუშაობა, ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობა. მისი მტკიცე შეკავშირება ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ.

პარტიული აქტივის კრებების მონაწილეებს მოჰყავდათ მრავალი ფაქტი, რომლებიც ცხადყოფენ პიროვნების კულტის პერიოდში უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების მიმართ გაფმარილებელ რეპრესიებს, მათს დევნას. შეეიწროებას, ფიზიკურ განადგურებას. ამავე დროს ორატორები აღნიშნავდნენ, რომ პიროვნების კულტის მხილებამ, ანტიპარტიული ჯგუფის განადგურებამ დააჩქარა ჩვენი ქვეყნის წინსვლა სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ, შექმნა პირობები ხალხის ფართო ინიციატივისათვის, დასახა ცოცხალი აზრის, შემოქმედებისა და აქტივობის ფართო გზა.

კრებებზე სიტყვებით გამოსული კომუნისტები ლაპარაკობდნენ იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ახლა ეწევიან ადგილებზე სკკპ XXII ყრილობის მასალების ღრმად განხილვისა და განმარტებისათვის. მაგრამ მათ ამასთანავე არ დავიწყებიათ, რომ ის, რაც უკვე გაკეთდა ამ მხრივ, ჯერ მხოლოდ იმ დიდი მუშაობის დასაწყისია, რაც მათ უნდა გასწიონ ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისათვის. ეს მოკლედადიანი კამპანია კი არ არის, არამედ ხანგრძლივი დროის საგანგებო მნიშვნელობის ამოცანაა.

პარტიული აქტივის კრებების მაღალი დონე, მშრომელთა ყოველდღიურად მზარდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა ცხადყოფს, რომ საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალა, ენერგია და ცოდნა მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, წარმატებით შეასრულონ პარტიის წინასწარდასახულობანი.

სურათზე: ინგურ-ქალალდკომბინატის საფუარის ქარხნის მოწინავე მშრომელი ნოდარ ჯიქია, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო გეგმას 115 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეახლის ამოქმედება

ტყიბულელმა მეშახტეებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, უდიდესი აღფრთოვანებით მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებები. პარტიის ახალი პროგრამა ჩვენ ბრძოლის დროშად, კომუნიზმის მშენებელთა ქარტიად მივიჩნიეთ. ჩვენ, მეშახტეები, მტკიცე პირობას ვიძლევით, რომ ვიცწოვრებთ და ვიმუშავებთ ისე, როგორც პარტიის პროგრამა გვასწავლის. ეს იმიტომ, რომ ამ პროგრამაში უდიდესი სიზუსტით არის გამოხატული ჩვენი მისწრაფებები, ჩვენი ფიქრები და ინტერესები.

თოთხმეტ წელზე მეტია შახტში ვმუშაობ. სამი წელია მეშახტეთა კომპლექსურ ბრიგადას ვხელმძღვანელობ. ორი წლის წინათ ჩემს ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი. ჩვენს შახტში ყოველ წელიწადს ინერგება ახალი. ამ რვა წლის წინათ შახტში დამთავრდა მეორე ღრმა სამთო ჰორიზონტის მშენებლობა. 1959 წელს შახტმშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს მესამე სამთო ჰორიზონტი, რომელმაც მკვეთრად გაადიდა სათბობის სადღეღამისო ამოღება. ჩვენი შახტის კოლექტივმა საბჭოთა კავშირში პირველმა დანერგა ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავებისას ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი. ამ მეთოდს ჭერის მართვის ძველ მეთოდთან — ჩამოქცევის მეთოდთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს. იგი მინიმუმამდე ამცირებს ქვანახშირის საწარმოო დანაკარგებს, სპობს ენდოგენური ხანძრების წარმოქმნის კერებს, უსაშიშროს ხდის მეშახტის შრომას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი გადავიდა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით მუშაობაზე. მე და ჩემს ამხანაგებს კარგად გვახსოვს მიწისქვეშა ტრანსპორტის სიძნელეები. საწარეევიდან მოყოლებული მიწის ზედაპირამდე ქვანახშირი ვაგონეტებით გამოგვქონდა. საშახტო ვაგონეტებს ხელით ვაგორებდით. მაშინ გამგორებლის პროფესია დიდ პატივში იყო. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, შტრეკებში და კვერშლაგებში მძლავრი ტრანსპორტიორები დავდგით. ქვანახშირს ახლა მეშახტის ხელი იშვიათად ეხება. საშტატო ნომენკლატურიდან ამოვარდა ისეთი პროფესია, როგორიც „გამგორებელია“. ბოლო ხანებში შახტში ფეხი მოიკიდა ავტომატიკამ. ცენტრალური განიავების ვენტილატორი დისტანციურ მართვაზე გადავიყვანეთ. დამცავი კარების დაკეტვა-გაღების მთელ რეჟიმს აგრეთვე ავტომატები განაგებენ. ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს საკომპრესორო მეურნეობის ავტომატურ-დისტანციურ მართვაზე გადასაყვანად.

ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვამ კარგი შედეგი გამოიღო. ჩვენი შახტის კოლექტივმა წელს წარმატებით, შეასრულა ქვანახშირის მოპოვების არა მარტო სახელმწიფო დავალება, არამედ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებაც. პარტიის XXII ისტორიული ყრილობისათვის მზადების დღეებში მეშახტეები შრომითს ვახტზე დადგნენ და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 32 ეშელონი „შავი ოქრო“ — ორჯერ მეტი, ვიდრე სოციალისტური შეჯიბრებით იყო ნავარაუდევი. ამ დღეებში შახტის კოლექტივმა კიდევ ერთი ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა — ვადაზე 13 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების თერთმეტი თვის სახელმწიფო დავალება.

კომუნისტური შრომის იმ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში უხდება მუშაობა. ქვანახშირის ფენების აშლილობა — ხშირი ნასხლეტები და ნაწევები დიდ სიძნელეებს ქმნიან. მიუხედავად ამისა, არ ვანელებთ მუშაობის ტემპს. ჩვენ წარმატებით შევასრულეთ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ბრიგადამ გეგმის გადამეტებით ამოიღო 2.500 ტონაზდე საკოქსე ქვანახშირი [illegible] ტონა [illegible] ლიწადში შევასრულოთ შვიდი წლის ნორმა. ჩვენ, როგორც ყოველთვის, პირობას შევასრულებთ, არ გვჩვევია სიტყვის გატეხა.

ტყიბულელ მეშახტეებს შრომაში გვაქვს ხელისშემშლელი მიზეზებიც.

პირველი საკითხი, რომელიც სასწრაფო გადაჭრას საჭიროებს, ეს არის „მცირე მექანიზაციის“ პრობლემის მოგვარება. ჩვენი შახტის სამთო ლავებს მცირე დაქანება აქვთ. ეს აფერხებს მონგრეული ქვანახშირის თვითგორებით გადაადგილებას მომხვეტ ტრანსპორტიორამდე. ამიტომ ნიჩბებით გვიხდება ქვანახშირის ჩამოწევა სანგრევის მთელ სიგრძეზე. ეს ამძიმებს მეშახტეთა შრომას და ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. საჭიროა ჩვენმა მეცნიერებმა დროულად გადაჭრან ამ სამუშაოს მექანიზაციის საკითხი.

ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე პირდაპირ შეუწყნარებელია, რომ სამთო გამონამუშევრებს ვამაგრებდეთ პრიმიტიული წესით, ნაჯახის მეშვეობით.

მართალია, ბურღვა - აფეთქების მთელი პროცესი ჩვენთან ძირითადად მექანიზებულია, მაგრამ ხელით შრომა მაინც არ არის ლიკვიდირებული. საბურღი მანქანა, რომელსაც მნგრეველი იყენებს, ძმიმეა, იგი 20 კილოგრამამდე იწონის. ასეთი იარაღი მეშახტეს მალე ღლის, იწვევს კუნთების დაძაბვას. საჭიროა ჩვენმა კონსტრუქტორებმა შექმნან ისეთი სამთო კომბაინები, რომლებიც ქვანახშირის სქელ და დახრილ ფენებში იმუშავებენ.

შ. შარვაძე,

ტყიბულქვანახშირის ტრესტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

შ. შარვაძის მეშახტეთა ბრიგადამ გეგმის გადამეტებით ამოიღო 2.500 ტონა საკოქსე ქვანახშირი;

ბრიგადამ იკისრა: ოთხ წელიწადში შეასრულოს შვიდი წლის გეგმა

ასე შრომობენ ტეხურელები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, მილიონთა გულებს დაეუფლა. ახლა საბჭოთა ხალხის მთელი ფიქრები და ძალები მიმართულია იქითკენ, რომ დროულად განხორციელდეს შშობიური კომუნისტური პარტიის ბრძნული წინასწარდასახულობა.

კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში არიან ცხაკაიას რაიონის ტეხურის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებიც. ტეხურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლები მოიპოვა შრომაში. დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა აქ 150 პროცენტით შეასრულეს, სახელმწიფოს ჩააბარეს 82 ცენტნერი დაფნის ფოთოლი, გეგმით ნავარაუდევი 500 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 540 ცენტნერი სუბტროპიკული ხურმა, 151 პროცენტითა შეასრულეს აგრეთვე კურკოვანი ხილის მიყიდვის გეგმა.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული ახალი პლანტაციების გასაშენებლად. წელს ბამბუკის ახალი პლანტაცია გააშენეს 5 ჰექტარზე. დაფნის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგი მოამზადეს 50 ჰექტარზე და სხვ.

მაღალნაყოფიერად იმუშავეს სიმინდის უხვი მოსავლის მისალებად. აქ შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა ერთიორად გაზარდეს. მოწინავე მუშამ აკაკი ხვითარიამ მოსავლად მიჩენილ ერთ ჰექტარ ფართობზე 56 ცენტნერი სიმინდი მიიღო, შოთა ჭყონიამ — 52 ცენტნერი. დიდი მოსავალი მიიღეს აგრეთვე კ. ქორჩილავამ, გ. კოზაშვილმა, ხ. კვაშილავამ და სხვებმა.

ს. კუჭავა.

ქვეშეგეთის ბრიგადა

ქვეშეგეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. მეურნეობას 44 ჰექტარი ვენახი აქვს. ჰექტარზე გეგმით 40 ცენტნერი ყურძენი უნდა მიგველო. ვენახებს სანიმუშოდ ვუვლიდით და საშუალოდ ჰექტარზე 76 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ. ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში თავი იჩინეს იმ აგრუბნებმა, რომლებსაც ა. ელიასაშვილი, ო. თომაძე და გ. გვარამაძე ხელმძღვანელობენ. პირველმა აგრუბანმა ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მეორემ — 78 ცენტნერი, ხოლო მესამემ — 90 ცენტნერი. მეურნეობის მოწინავე მუშებმა დ. ქურდაძემ და გ. ჩადუნელმა საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, სანდრო და თამარ ლომსაძეებმა—130 ცენტნერი თვითეულმა.

ნაცვლად 1.760 ცენტნერისა სახელმწიფოს 3.000 ცენტნერზე მეტი ყურძენი ჩავაბარეთ.

გ. დარასველიძე.

ქვეშეგეთის საბჭოთა მეურნეობის პირველი აგროგანყოფილების პარტბიუროს მდივანი.

ხილი — სუფრის მშვენება

ფულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა დიდი გადამეტებით — 142 პროცენტით შეასრულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა. გთვალისწინებული ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.422 ტონა თესლოვანი და კურკოვანი ხილი.

სახელმწიფოს მიეყიდა აგრეთვე 264 ტონა სუბტროპიკული ხურმა.

ზ. ზარეცკის ბრიგადა

**ბ. ბ. ბ.

კაცობრიობის მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის

მოძმე კომპარტიების კლენუმეგსა და აქტივეგზე

ბერლინში გამოქვეყნდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პლენუმის გადაწყვეტილება სკკპ XXII ყრილობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამოცანების შესახებ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, მოიწონა პარტიის პირველი მდივნის ამხ. ვალტერ ულბრიხტის მოხსენება სკკპ XXII ყრილობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამოცანების შესახებ, აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის გამოსვლა XXII ყრილობაზე.

80 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა XXII ყრილობაზე ცხადყვეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ურყევი ერთიანობა და შეკავშირება, ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გმობს ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციას, რომელიც გაეთქმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობლივ განცხადებას და დაადგა ნაციონალისტურ, ანტისაბჭოთა პოზიციას. დაარღვია ვარშავის ხელშეკრულება და ამ მოქმედებით თვითონ გამოიწვია თავისი იზოლაცია.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით იწონებს ყრილობის გაბედულ და საჭირო გადაწყვეტილებას პიროვნების კულტის დაგმობის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ხრუშჩოვის თანმიმდევრული და წარმატებითი ბრძოლა პიროვნების კულტის დასაძლევად დიდი დამსახურებაა მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე კორეის შრომის პარტიის დელეგაციის მუშაობის შესახებ, რომელიც სკკპ XXII ყრილობას დაესწრო, მოხსენება გააკეთა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა კიმ ირ სენმა.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — განაცხადა კიმ ირ სენმა, — რომ სკკპ და მის გარშემო მონოლითურად შეკავშირებული საბჭოთა ხალხი თავიანთი გმირული ბრძოლის შედეგად ააშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

პლენუმმა სავსებით დაუჭირა მხარი და მოიწონა კორეის შრომის პარტიის დელეგაციის საქმიანობა, რომელიც სკკპ XXII ყრილობას ესწრებოდა, და ამხანაგ კიმ ირ სენის მოხსენება და შემდეგ მიღებო შესაბამისი რეზოლუცია.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნიზმის მშენებელთა XXII ყრილობამ ცხადყო საბჭოთა ხალხის შესანიშნავი გამარჯვება ფართო კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უძლეველი ძალიერება.

კერძოდ, პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, გამოხატავს მთელი კაცობრიობის მისწრაფებასა და იმედებს და ერთხელ კიდევ ადასტურებს მთელი მსოფლიოს ხალხთა რწმენას, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი გაიმარჯვებს.

კორეის შრომის პარტია, ნათქვამია პლენუმის რეზოლუციაში, ისე როგორც წინათ, ყოველ ღონეს იხმარს, რათა განამტკიცოს მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

კვლავაც განაგრძობენ რა მტკიცე ბრძოლას ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისა და კორეაში სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი, ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, მტკიცედ იდგებიან მშვიდობისა და სოციალიზმის ავანპოსტის საგუშაგოზე აღმოსავლეთში და ხელს შეუწყობენ სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ულან-ბატორში გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის აქტივის კრება. კრებაზე მოხსენება სკკპ XXII ყრილობისა და სოციალისტურ მშენებლობაში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ამოცანების შესახებ გააკეთა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. ცენდმა. მომხსენებელმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა იყო ჩვენი დროის უდიდესი მოვლენა, რომელმაც მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ამ ყრილობას, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ცენდმა, სამართლიანად უწოდებენ კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სკკპ და საბჭოთა კავშირისათვის, არამედ აგრეთვე მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, რადგან მან კაცობრიობას დაუსახა წარმატები პერსპექტივები, კონკრეტული გზები კომუნიზმისაკენ.

შემდეგ ლ. ცენდმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის გამოცდილების საყოველთაო მნიშვნელობასა და მის უანგარო მატერიალურ დახმარებაზე დამოუკიდებელი ხელმწიფოებისადმი. გამოცდილება მომძმე საბჭოთა კავშირისა, რომელმაც პირველმა ააშენა სოციალიზმი და გააჩაღა კომუნისტური მშენებლობა, თქვა მან, მისი უსვი მატერიალური დახმარება საშუალებას აძლევს სოციალისტურ ქვეყნებს, მათ შორის მონღოლ ხალხს, განავითაროონ თავიანთი ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით, მიაღწიონ საგრძნობ უპირატესობას დრომოჭმულ კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

მოხსენების მეორე ნაწილში ლ. ცენდმა გააშუქა პარტიული ორგანიზაციებისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრთა ამოცანები სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მესამე ხუთწლედის — მონღოლეთში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების გეგმის განხორციელებაში. (საკდესი).

ოსლო. (საკდესი). ქართველებმა ნორვეგიელებს

ოსლოდან ნორვეგიელები

შვეციიდან ნორვეგიაში ჩამოვიდა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი. გუშინ ანსამბლის პირველი კონცერტი გაიმართა ნორვეგიის ოპერის თეატრის შენობაში ოსლოში. ნორვეგიელებმა, ისევე როგორც შვედმა მაყურებლებმა, ყველაზე გულითადი შეხვედრა მოუწყეს საბჭოთა მსახიობებს. ანსამბლის დიდ წარმატებაზე წერს ნორვეგიის ბევრი გაზეთი.

ქართველებმა პირველი წამიდანვე მოხიბლეს საზოგადოება, აღნიშნავს „არბეიდერ-ბლადეტი“. მაყურებლები აღტაცებული იყვნენ, ეს კი არც თუ ხშირია ნორვეგიაში.

ცეკვის ბრწყინვალე საღამო. თავიანთი უბადლო ოსტატობით ქართველებმა ნორვეგიელებს დაუვიწყარი შესანიშნავი წამები განაცდევინეს; წერს გაზეთი „ნაშუნენი“. შეიძლება რწმენით ითქვას, რომ მათ ყველაფერი მოეწონათ.

„ზღაპრული სიმშვენიერის, სილამაზითა და ფანტაზიით აღსავსე წარმოდგენას“ უწოდებს ანსამბლის კონცერტს გაზეთი „აფტენპოსტენი“.

ნორვეგია 24-ე ქვეყანაა, რომელსაც საგასტროლოდ ეწვია ქართული ანსამბლი, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ი. სუხიშვილმა. ანსამბლი იყო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში და ყველგან დიდი წარმატებით სარგებლობდა. მას შემდეგ, რაც დავამთავრებთ გასტროლებს ნორვეგიასა და დანიაში, შვეციის საზოგადოებრიობის თხოვნით დავბრუნდებით შვეციაში და გავმართავთ იქ მთელ რიგ დამატებით კონცერტებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პეკინი, 29 ნოემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის გამო, რომ გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია და აგრესია სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ თავისი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტების რაზმების, აგრეთვე სამხედრო პერსონალის დიდი ჯგუფის გაგზავნა ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში, აღნიშნულია განცხადებაში, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავხედურად ახორციელებს სამხედრო ინტერვენციას ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგ, რაც ეენევის შეთანხმებათა უაღრესად უხეში დარღვევაა, აგრეთვე სერიოზული პროვოკაციაა ინდოჩინეთისა და აზიის ხალხების წინააღმდეგ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც ისეთი სახელმწიფოს მთავრობა და ხალხი, რომელიც უზრუნველყოფს ეენევის 1954 წლის შეთანხმებათა შესრულებას და რომელიც მეზობელია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩება გულგრილი ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული საქმიანობის მიმართ, რომლებიც შეიარაღებულ ინტერვენციასა და აგრესიას ახორციელებენ ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგ.

ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი, ხაზგასმულია განცხადებაში, სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს მთელი სამხედრო პერსონალი, გაიტანოს იარაღი და სამხედრო მასალები ვიეტნამის სამხრეთი ნაწილიდან და შეწყვიტოს ინტერვენცია და აგრესია ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგ, აგრეთვე მხარს უჭერენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნას, რომ განხორციელდეს ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანება ეენევის შეთანხმებათა შესაბამისად. ჩინეთის მთავრობა სთხოვს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ეენევის 1954 წლის თათბირში, და ყველა სხვა დაინტერესებულ ქვეყანას ჯეროვნად უყურადღება მიაქციონ ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზულ ნაბიჯებს, რომლებიც ანტაგონიზმს ინტერვენციასა და აგრესიას ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგ.

ჩინეთის მთავრობას, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების დასასრულს, მიაჩნია, რომ ჟენევის თათბირის ორმა თავმჯდომარემ და ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიამ, რომელიც განსაკუთრებულ პასუხს აგებს ეენევის შეთანხმებათა შესრულებისათვის, დროზე უნდა მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი.

ინდოეთი ეგებება იური გაგარინს

დელი, 29 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ვ. მატიაში და ბ. ვასილიევი იუწყებიან: ინდოეთის მთავრობისა და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების მოწვევით დღეს დელიში ჩამოვიდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი მეუღლითურთ.

პალამის აეროდრომზე ინდოეთის მთავრობის სახელით სახელგანთქმულ კოსმონავტს მიესალმნენ ინდოეთის მეცნიერული კვლევისა და კულტურის მინისტრი პროფესორი ჰუმაიუნ კაბირი და პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი ინდირა განდი. ინდოეთის შეიარაღებული ძალების სახელით მაიორი ი. ა. გაგარინს შეხვდა ინდოეთის ავიაციის მარშალი, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი ენჯინირი.

საბჭოთა კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა იური გაგარინი და მისი მეუღლე წარუდგინა ინდოეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს. კვლავ გაისმის ტაში.

ცოცხალი ყვავილების გირლანდებით შემკული იური გაგარინი ჯდება თვითმფრინავთან მისულ ღია ავტომანქანაში. ყოველი მხრიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები. იური გაგარინი გულთბილად უპასუხებს მისალმებაზე, მეგობრულად ართმევს ხელს ინდოელებს.

გზად საბჭოთა კულტურულ ცენტრში, რომელიც მდებარეობს ტრავანკორ-ჰაუზის სასახლეში, მაიორი ი. გაგარინი ვიზიტად იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნეროუსთან მის საშინაო რეზიდენციაში. ნერუ გულთბილად მიესალმა სახელგანთქმულ საბჭოთა გმირს და გააცნო იგი თავისი ოჯახის წევრებს. ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან ხანმოკლე მეგობრული საუბრის შემდეგ იური გაგარინი წავიდა პრეს-კონფერენციაზე ტრავანკორ-ჰაუზში, სადაც უკვე შეიკრიბა ბევრი ინდოელი და უცხოელი ჟურნალისტი.

თავის გამოსვლაში პრეს-კონფერენციაზე მაიორმა გაგარინმა განაცხადა: „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მე, უბრალო რუს ადამიანს, ჩვენმა ხალხმა და საბჭოთა მთავრობამ მომანდეს პირველი გფრენა კოსმოსში. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, რომ წარმატებით შემესრულებინა ეს ამოცანა. ეს გავაკეთე ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის“.

ი. გაგარინის განცხადებამ, რომ იგი ოცნებობს გაფრინდეს ვენერაზე და ნახოს, რას მალავს მისი ნისლიანი საფარი, მჭეხარე ტაში და გამოცოცხლება გამოიწვია.

საბჭოთა კოსმონავტმა უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ შეკითხვაზე. პრესკონფერენციის შემდეგ ი. ა. გაგარინი წავიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს საშინაო რეზიდენციაში. საბჭოთა კოსმონავტი აქ იქნება ინდოეთის დედაქალაქში ყოფნის დროს.

30 ნოემბერს საზეიმო და განსაკუთრებით გულითადი შეხვედრა მოუწყეს გუშინ ი. ა. გაგარინს ინდოეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ქალაქ დელის მუნიციპალური კორპორაციის მიერ მოწყობილ მასობრივ მიტინგზე.

ამერიკაში გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ კაფსულა მაიმუნიანად გამოეყო ამერიკის ხელოვნურ თანამგზავრს, რომელიც გუშინ გაუშვეს კანაველალის კონსიდან, და მშვიდობიანად დაეშვა პარაშუტით ატლანტის ოკეანეში 500 მილზე ბერმუდელის კუნძულების სამხრეთ-აღმოსავლეთით. თანამგზავრმა დედამიწას შემოუარა ორჯერ და არა სამჯერ, როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული.

ლიდერი შეიცვალა

ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა 8 უძლიერესი კოლექტივი ფინიშის სწორზე გავიდა, მიმდინარეობს დასკვნითი შეხვედრები ახალი ჩემპიონის გამოსავლენებლად. შეიცვალა ლიდერი, გათამაშების ცხრილის სათავეში მოსკოვის „დინამო“ მოექცა.

მეორე ტურის ცენტრალურ ასპარეზობას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა („ბურევესტნიკი“) და თბილისის „დინამოს“ მატჩი წარმოადგენდა. დინამოელებს ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს და მატჩი ფრედ (4:4) დაამთავრეს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის (ვმფ) გუნდმა ანგარიშით 4:2 დაამარცხა ალაბის წითელდროშოვანი ფლოტილის (კკფ) ფალაბურთელთა კოლექტივი. მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ლენინგრადის „ბალტიკას“ 5:2, ლვოვის „დინამომ“ — რსფსრ „ტრუდს“ 6:1.

მესამე ტურის შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — ვმფ 2:1, „დინამო“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 3:1, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „ტრუდი“ (რსფსრ) 3:2, „დინამო“ (ლვოვი) — კკფ (ბაქო) 3:3.

მეოთხე ტურის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცეს: „დინამო“ (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) 4:2, ვმფ — „დინამო“ (თბილისი) 4:2, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „ტრუდი“ (რსფსრ) 4:3, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 5:3.

ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ ლიდერია მოსკოვის „დინამო“, რომელსაც 20 შესაძლებლიდან 18 ქულა აქვს. ვმფ-ს აქვს 19 ქულა, თბილისის „დინამოს“ — 15 ქულა.

საბჭოთა ნაკრების გამარჯვება

სსრ კავშირის ნაკრების ტრნე ლათინურ ამერიკაში სპორტის მოყვარულებთან ერთად ფეხბურთის სპეციალისტთა საერთო ყურადღებას იპყრობდა, რადგან ეს შეხვედრები ჩილის დუელის წინ, რომელიც მომავალი წლის ზაფხულში გაიმართება, წარმოადგენდა ძალთა შემოწმებას, ერთგვარ დაზვერვას.

მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო ეს დაზვერვა, ახლა ლათინურ ამერიკაში ერთხმად აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოხიბლა ისინი. ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით სსრ კავშირის ნაკრები ახლა გაცილებით უფრო ძლიერ, სრულყოფილ კოლექტივად გამოიყურება, ვიდრე გასულ ჩემპიონატში. ამიტომ ბუენოსაიროსი, რომ ამ გუნდისაგან უკეთეს შედეგს უნდა მოველოდეთ.

უცხოთეთის ჟურნალისტებს განსაკუთრებით მოსწონთ ჩვენი მოიერიშე ხუთეულის ფლანგები — მესხი და მეტრეველი, აგრეთვე მკაკრეები.

არგენტინასა და ჩილიში წარმატებით გამოსვლის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებს ურუგვაიში შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ბილეთები რამდენიმე დღით ადრე იყო გაყიდული, მონტევიდეოს ცენტრალური სტადიონი ყველა მსურველს ვერ იტევდა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა ამ მატჩშიც გამოამჟღავნეს მაღალი ოსტატობა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ქვეყანაში მათ ტაშს უკრავდნენ. შეხვედრის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. ანგარიში 27-ე წუთზე გუსარომა გახსნა, მაგრამ მალე მასპინძლებმა გოლითვე უპასუხეს (ბურთი გაიტანა კუბილამ). ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მესხისა და პანეფელნიკის კომბინაცია პანეფელნიკის დარტყმით და კარის აღებით დამთავრდა.

მეორე ტაიმში ბრძოლის სიმძაფრემ იმატა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა 2:1.

ლათინურ ამერიკის ქვეყნებში — არგენტინაში, ჩილისა და ურუგვაიში, სადაც ფეხბურთი № 1 სპორტია, სამი გამარჯვება საბჭოთა ფეხბურთის ტრიუმფია.

ექს-ჩემპიონების ორთაბრძოლა

ბაქო, 30 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ ყურადღების ცენტრში იდგა მსოფლიოს ორი ექს-ჩემპიონის გროსმაისტერების ტალისა და სმისლოვის პარტია. ბრძოლა მძაფრი და შეუპოვარი იყო, პარტია კი ლამაზი და შინაარსიანი. მიუხედავად გართულებებისა, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და მოწინააღმდეგეები 31-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდნენ.

ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ტაიანოვ-პოლუგაევსკის, ვლადიმიროვ-ბრონშტეინისა და ხასინ-ლეინის პარტიებში.

მოულოდნელი დამარცხება განიცადა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა გროსმაისტერმა ხოლმოვმა. მან წააგო პარტია შამკოვიჩთან. ვასიუკოვმა მოუგო კოცს, გიპსლისმა — ავერბახს. ბაგიროვ-კერესის პარტია პირველის ავადყოფობის გამო არ შემდგარა. 2 პარტია გადაიდო. გურგენიძე მეათე ტურში თავისუფალი იყო.

ათი ტურის შემდეგ სპასკის 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ხოლმოვსა და შამკოვიჩს — 6,5 ქულა თვითეულს.

ხვალ შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

კიდევ ერთი ფინალისტი

მსოფლიო პირველობის გათამაშების შერჩევითი მატჩები ფეხბურთში თითქმის ამოიწურა. ფინალის 16 მონაწილიდან ცნობილი გახდა 15 გუნდი. ესენი არიან: ურუგვაის, მექსიკის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ბრაზილიის, იტალიის, შვეიცარიის, ესპანეთის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის, კოლუმბიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. მე-16 მონაწილეს გამოავლენს საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდების დამატებითი მატჩი.

მეთხუთმეტე მონაწილე ჩეხოსლოვაკიის გუნდის სახით გამოვლინა ჩეხოსლოვაკიისა და შოტლანდიის გუნდების დამატებითმა მატჩმა, რომელიც გუშინწინ შედგა და დამთავრდა ჩეხების გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

მომავალი წლის ზაფხულში ფინალისტები ჩაეგმებიან გადამწყვეტ ბრძოლაში. სტარტზე გუნდები ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან ოთხ ჯგუფში. მატჩები მოეწყობა ჩილის ქალაქებში — არიკაში, ვინია-დელ-მარში, რანკაგუაში და სანტიაგოში.

ინგლისელ ბანკირებს ბრაზილიაში ეშინიათ

ბრაზილია, 29 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისელ ბანკირებს ეშინიათ ბრაზილიაში. ეს ეშინიათ ბრაზილიის ეროვნული ბანკის ბანკნოტების ინგლისში ბეჭდვის გამო. ინგლისელ ბანკირებს ეშინიათ, ეს ბანკნოტები

ᲘᲡᲔᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲨᲠᲘᲤᲢᲘ თანამედროვე სიტყვის კულტურის გასაღებია, მარადიული საუნჯე. ვადრე გუტენბერგის გენიოსური გამოგონების მეოხებით ერები შესძლებდნენ შრიფტის აღბეჭდის მექანიზებას, უძველესი ხალხები ძელზე ტვიფრავდნენ სვიმბოლიურ ნიშნებს, მაგალითად, მთის მაგვარად სამკუთხედ მწვერვალს, ტბას მდინარესა და სხვათა.

ამგვარ ხატოვანი აზროვნების აღსაბეჭდავად მექსიკის აბორიგენებს — აციეკებს შექმნილი ჰქონდათ მთელი ლიტერატურა, რომელიც ესპანელ თავდამსხმელებმა სავსებით გაანადგურეს.

ჩვენს ერამდის, სამი ათასი წლის წინად ჩინელებს გააჩნდათ ხატოვანი შრიფტი, რომელიც მარტივ სვიმბოლიზებას ემყარებოდა.

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲐᲚᲘᲡᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲐᲚᲘᲡᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ